

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის**

**ოქმი N9**

**ქ. ზუგდიდი**

**20 მარტი 2019 წელი**

2019 წლის 20 მარტს გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა;

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ ბესიკ ჭყუია

**საკრებულოს სხდომას ესწრებოდა 31 დეპუტატი:** ბესიკ ჭყუია, თაზო ფაცაცია, თამუნა ჯიქია, ეკატერინე კიფაია, დავით გახარია, ოთარ ქადარია, დაზმირ ძიმცივილი, ჯონი ჯიქია, მიხეილ ჯობავა, ბათლომე შელია, ზაზა პროკოპენკო, ზაზა ანდრიაძე, ჯანსუღ ჯაბუა, რევაზ თორდია, არჩილ ბერანძე, გია დანელია, ედიტა კოდუა, ირუზა კაკავა, მამუკა ყურაშვილი, დავით ჭაფანძე, მანანა მეზონია, გიორგი თოდუა, პაატა ებრალიძე, მამუკა თოლორაია, რამაზ ჯაბუა, გოგი თოდუა, ზაზა ხუბუა, ტარიელ გაბულდანი, ირაკლი ჯანაშია, ზვიად ქირია, თენგიზ ალმასია.

**საკრებულოს სხდომას არ ესწრებოდა 19 დეპუტატი:** მამუკა წოწერია, ზვიად ყორშია, ამირან ჩხოლარია, ირაკლი ლაგვილავა, სანდრო სორდია, ანა წითლიძე, კონსტანტინე კაკავა, დავით შელია, სალომე ფაცაცია, ზურაბ გოგომე, გოგიტა ზარქუა, ლაშა ესებუა, გიორგი კუკავა, სოსო გოგოხია, ოთარ მარშავა, მალხაზ ციკუტანია, ირაკლი ღურწყაია, პაატა ადამია, გელა თოლორაია.

**სხდომას ასევე ესწრებოდნენ:** ნატალია პაპასკირი-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი, საკრებულოს სტაჟიორები პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები;

**სხდომას მდივნობდა:** საკრებულოს მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სოფიო ჯიქია;

**სხდომა დაიწყო: 15:30 საათზე;**

**სხდომა დამთავრდა: 15:44 საათზე;**

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭყუიამ სხდომის მონაწილეებს გააცნო რიგგარეშე სხდომის

**დღის წესრიგი**

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

**მომხსენებელი:** ბესიკ ჭყუია- საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

2. „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელი: ბესიკ ჭყეია- საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი**

3. „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელი: ბესიკ ჭყეია- საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი**

4. “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელი: ბესიკ ჭყეია- საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი**

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭყეიამ კენჭი უყარა სხდომის დღის წესრიგს

**მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი- არცერთი;**

**დაამტკიცეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 20 მარტის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით;

**საკრებულომ მიიღო N32 განკარგულება (თან ერთვის)**

**დღის წესრიგის პირველი საკითხი:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

**მომხსენებელმა ბესიკ ჭყეიამ აღნიშნა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართვულობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 13 მარტის №02/2899 წერილის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო

გზაზე ქ. ზუგდიდში, ქუჯის ქუჩის მოპირდაპირე მხარეს, ორ ადგილას, განთავსდეს საგზაო ნიშანი „გაჩერება აკრძალულია ავტობუსებისათვის“.

### **აზრი გამოთქვას**

**ბათლომე შელიამ აღნიშნა:** აღნიშნულ საკითხს მხარს არ ვუჭერ, გამომდინარე იქედან, რომ წლებია იმ ადგილზე იკვეთება კონკრეტული პირის ბიზნეს ინტერესი, რაზედაც ვფიქრობ, რომ დადებითად შეფასების შემთხვევაში თანამონაწილე ვხვდებით ამ უკანონობის.

**ბესიკ ჭყვიამ აღნიშნა:** დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა საკითხთან დაკავშირებით, საკრებულო თავისი კომპეტენციიდან გამომდინარე, აკეთებს იმას, რაც ევალება, ხოლო თქვენს მოსაზრებას აღნიშნულზე, თუ ფლობთ უტყუარ და დეტალურ იმფორმაციას, შეგიძლიათ მოგვმართოთ განცხადებით, როგორც ჩვენ ასევე მერიის შესაბამის სამსახურს, რომ განხილვის შემდეგ მივიღოთ საბოლოო გადაწყვეტილება.

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით სხვა რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭყვიამ დღის წესრიგის პირველ საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

### **მომხრე -30 დეპუტატი, წინააღმდეგი- 1 (ბათლომე შელია)**

**გადაწყვიტეს:** ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგზაო ნიშნების განთავსების თაობაზე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

### **საკრებულომ მიიღო N33 განკარგულება (თან ერთვის);**

**დღის წესრიგის მეორე საკითხი:** „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელმა ბესიკ ჭყვიამ აღნიშნა:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 19 მარტის №02/3148 მომართვის შესაბამისად, „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და განკარგულებით დამტკიცებული

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონული განვითარების პროექტების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტები ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭეჭიამ დღის წესრიგის მეორე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

#### **მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვიტეს:** „საქართველოს რეგიონალური განვითარების ფონდიდან დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №43 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

#### **საკრებულომ მიიღო N34 განკარგულება (თან ერთის);**

**დღის წესრიგის მესამე საკითხი:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

**მომხსენებელმა ბესიკ ჭეჭიამ აღნიშნა:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 განკარგულებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ამოღებულ იქნას განკარგულების პირველ პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი.

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭეჭიამ დღის წესრიგის მესამე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

#### **მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი**

**გადაწყვიტეს:** „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

#### **საკრებულომ მიიღო N35 განკარგულება (თან ერთის);**

**დღის წესრიგის მეოთხე საკითხი:** “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ” ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

მომხსენებელმა ბესიკ ჭეჭუამ აღნიშნა: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ”,

დღის წესრიგის მეოთხე საკითხთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა ან წინადადება არ გამოთქმულა;

სხდომის თავმჯდომარემ ბესიკ ჭეჭუამ დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე გამოაცხადა კენჭისყრა;

მომხრე -31 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი

გადაწყვიტეს: „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და სარევიზიო საკითხთა კომისიის წევრების დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის №14 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საკრებულომ მიიღო N36 განკარგულება (თან ერთვის);

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხი განხილულ იქნა.

სხდომა დახურულად გამოცხადდა

საკრებულოს თავმჯდომარის მ/შ:



ბესიკ ჭეჭუა